ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

მიიღება განცხადებები

1-ლ აპრილიდან:
სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 6 მანეთი მე-4-ე გვერდზე—4 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 10 მან.
სამგლოვიარო განცხადება—200 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 250 მან.

1-ლ აპრილიდან გაზეთი დირს: 6 თვით—900 მან. 3 თვით 450.

კონტორა დიაა 9 ს.—3 ს. და სად. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სახახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

ნელიწადი მეექვსე | პარასკევი. აპრილის 9 1920 წ. № 75 | ფასი 5 მან.

შვეიცარიული შოკოლადი

მხოლოდ ბითუმად არა ნაკლებ 2 ნახ. კილოგრამისა

შერმან და მეკველ

ბერნი—(შვეიცარია). ბათუმ—თბილისი—ბაქო.

თბილისის განყოფილება. რუსთველის პროსპექტი (გოლოვინის) № 26.

ბათუმის განყოფილება. მარინის პრ. № 29.

სასტუმრო „ინტერნაციონალი“ ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი და სოლოლაკის ქუჩის კუთხე № 1.

6 აპრილს, 1920 წ. დიდი შეკეთების შემდეგ, სასტუმრო „ინტერნაციონალში“ გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო ოჯახურ, კაბინეტებით.

განყოფილება ბათუმში „ოტელ-პალასი“ ქუთაისისა და ლორის-მელიქოვის ქუჩების კუთხე.

საღილი 1 საათ. 5 საათამდე შეღავათიან ფასებში. პატივისცემით გრიგოლ ითხების ძე დოლიძე.

301 4—1

„ქიმერიონი“

12 აპრილი



ქიმერიონი

(რუსთაველის პრ., 23,)
ყოველ დღე 1—5 საათამდე.

საღილები

პარასკევს 9 და შაბათს აპრილის 10-ს რესტორანი გახსნილია
ორშაბათს აპრილის 12-ს

„საქართველოს“ დიდი საღამო თეატრის

ელამი ჯიმმისი

სეზონის გახსნა (ყოფ. პეტროგრ. ბი-ბა-ბო)

1-ლი ჯიმმიადა

1) ჯიმმის ჰიმნი, 2) თბილისი 1-ლი სერია, 3) თეთრი ვალსი, 4) „ჯიმის დღე“, 5) ჩინურ სამოთხის ბუდესთან, 6) უფასო კომპლიმენტები, 7) ს.-პეტერბურგი მე-2 რე სერია, 8) პლაკატი.

„ჯიმის“ სალონის ხორო სალონის ცეკვა, ელამი ჯიმმი მონაწ.: ე. ნეველოვა, ა. პერეგონეც, ნ. ს. სუდეიკინისა, ფ. დანტეროვა, ე. ალლანი, ნ. ხოდოტოვა, ფ. კურიხინ, გ. ერმოლოვი, ი. სოლსკი, ი. ლიხმარე, ფ. გირიავი და სხ. ‖ კონფერანსი ფ ნ. კურიხინი. დასაწყისი 11 ს.

ვაღს, მაგრამ დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც სულ სხვა სტიმულებისა და სხვა მასშტაბის მეობებით იჭრება უდიდესი, მსოფლიო მნიშვნელობის კითხვები, როდესაც მთელი განათლებული და გაუნათლებელი კაცობრიობის სხეული ინგლისური სარტყელით არის შეკრული, როდესაც მსოფლიო რუქა ახალ-ახალი, ჯერ კიდევ გაურკვეველი ფერადებით შეიძლება აჭრელდეს, და როდესაც ევროპის, აზიისა და ამერიკის შორის გენერალური, გადამჭრელი ბრძოლის დასაწყისი ისახება,—აი ასეთი ვითარებისა და პერსპექტივების წინ მოკარნახე სახელმწიფოს—ინგლისის პოლიტიკას ჩვეული იდუმალობა და განუჭვრეტელობა ახასიათებს.

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ანტანტი, როგორც ასეთი, დღეს თუ კიდევ ნომინალურად არსებობს ხვალ შესაძლოა ან სრულიად ახალ საერთაშორისო კომბინაციაში ჩამოყალიბდეს, ან და, რაც უფრო საფიქრებელია, ინგლისით შემოიფარგლოს. ამის ნიშნები განსაკუთრებით მის შემდეგ შეიქმნა ნათელი, როდესაც მსოფლიო ომის სასწორის ანტანტის გამარჯვებისაკენ გადამხრელი ამერიკა მონანიების გზას დაადგა და ფაქტიურად ჩამოშორდა როგორც საზავო კონფერენციას, ისე უმაღლეს საბჭოსა და ანტანტს. ამერიკა მართალია, შეგვიანებით, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ობიექტიური პირობების მიერ, მისთვის მინიშნებული კარნახის უფლება ისე მოხერხებულად გამოაცალა მას ინგლისმა ხელიდან, რომ მთელი ამერიკელი ხალხი სახტად დარჩა და ფაქტის წინაშე დაყენებულმა, იზოლიაციის გზა არჩია. ზოგი წყაროების მიხედვით ამერიკას არაოდეს უწარმოებია ისეთი ინტენსიური საომარი მზადება, როგორსაც დღეს აწარმოებს და თუ ეს ასეა, მაშინ ის, რაც ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში განიცადა კაცობრიობამ, ეფიქრობთ არაერთობად დაგვესახება იმის წინ, რაც აწ მოგველის.

ყველასათვის ცხადია, ის ინტერესთა



ლრმად დამწუხრებულნი მშობლები: მამა ვასილ ივანეს ძე და სოფიო ივანეს ასული, ძმები, დები და რძლები ფაველინიშვილები, აუწყებენ ნათესავს, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 12 ამა აპრილს გადახდილ იქმნება წლის წირვა; თავისი უდროოდ გარდაცვლილის დაუგიწყარის შვილის, დის და მულის

თამარის

წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილ დიდუბეში. წირვა დილით 10 საათზე ეკლესიაში, პანაშვიდი 12 საათზე განსვენებულის საფლავზე.

საალდგომოდ

კონიაკი კურისა და ნატურალი ვაზის არაყი;

დესერტის ღვინოები: პორტვეინ, მადერი და სხვა და სხვა წარმოებანი საწნახ—ბა შებაღეთა „ქარხანა.

„უნიონი“

აუწყებს ყველას წარმომადგენლები. მიხეილის გალკერ და კ-ოს პრო. № 84. ტელ. 19-65. 3023 8 1

ვერაზე

პირველი სარისხის რესტორანი

ბალი ედემი

დიდი შეკეთების შემდეგ ისევ იხსნება 7 აპრილიდან. ბაღში მოწყობილია დარბაზები და თალხარები. გვაქვს პიანინოც.

მასთან არის დიდი როტონდო შუშაბანდებით ამხანაგური სადილ-ვახშმისათვის. ბაღში დიდი მოედანი და ხეივნებია. მოედანს სხვათაშორის ამშვენებს დიდი 300 წლიანი ვირხვი, რომლის ჩრდილში 100 კაცის სადილი იმართება. რესტორანთან არსებობს ბუფეტი. გვაქვს ყოველნაირი ადგილობრივი და საზღვარგარეული სასმელები. სამზარეულო ევროპიული და აზიური, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით. ვიღებთ საამხანაგო სადილებსა და ვახშმებს 200 კაცამდე. ვაჭრობა სწარმოებს: ყოველივე მიცემულ შეკვეთას ბუფეტი ნაღდად იხდის. პროცენტები მოსპობილია.

3044 30—1 პატივისცემით ამხანაგობა.

გიორგი გვასალია გამოვიდა იყიდება წიგნების მაღაზიებში ახალი წიგნი

ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა

გამოცემა ქალაქთა კავშირისა.

საალდგომოდ

არჩევნები აფხაზეთში.

მეტად სამწუხაროდ დამთავრდა აფხაზეთში დამფუძნებელი კრების არჩევნები: ამ არჩევნების დიდმა უმრავლესობამ ბოიკოტი გამოაცხადა! სამწუხარო უფრო ის არის, რომ საარჩევნო ყუთებთან სწორედ აფხაზები არ მისულან...

უეჭველია საქართველოს მტრები ამ მოვლენას თავისებურად გამოიყენებენ. ჩვენი მოწინააღმდეგენი განგაშს ატეხენ: დაბეჯ როგორი თვალსაჩინო დემონსტრაცია მოახდინეს აფხაზებმა საქართველოს წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათ საერთო არაფერი აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთან!

მართალია ეს?

საქართველოს მტრებმა უნდა იცოდნენ ნამდვილი მიზეზი აფხაზთა ბოიკოტისა და თუ მიუხედავად ამისა მაინც დაჟინებით აგრძელებენ ყალბ ცნობებს აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, მხოლოდ იმიტომ, რომ საერთაშორისო სფეროში ერთხელ კიდევ შეჰმინან საქართველოს საწინააღმდეგო აზრი.

სწორედ არჩევნების წინ მთელს აფხაზეთში დიდი კრებები იმართებოდა მკვიდრი მოსახლეობისა, სადაც თვით აფხაზები მკაცრ პროტესტს აცხადებდნენ ბათუმის საკითხის გადაწყვეტის გამო და მოითხოვდნენ მთელი სამხრ. ამდიანო საქართველოს შემოერთებას რესპუბლიკის საზღვრებში. შესაძლებელია ასეთი რეზოლუციების მიღება, რომ აფხაზები ისე არ ეჭყრობოდნენ საქართველოს, როგორც თავის სამშობლოს, საკუთარ სახელმწიფოს?

აფხაზეთის არჩევნებში ჩვენ, მართალია, ვხედავთ დიდს დემონსტრაციას, მაგრამ არა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულს. აქ ჩვენს წინ გადიშალა ერთგვარი შედეგი იმ წესებისა, რომელიც გამეფებული იყო აფხაზეთში მმართველი პარტიის აგენტების მიერ. არა ერთხელ მიგვიქცევია მთავრობის ყურადღება ზოგიერთ სოციალ-დემოკრატის შეუსაბამო მოქმედებისათვის ამ განაპირა კუთხეში და რჩევაც მიგვიცია, რომ ძირიანად შეცვლილიყო აფხაზეთში პოლიტიკა მთავრობის სახელით მომქმედ პირებისა და დაწესებულებებისა.

არ შეიძლება ერთის შაბლონით შესევა საქართველოს ყველა მხარეში; ყოველად დასაგმობია ჩვეული პოლიტიკის წარმოება იმ ადგილებში, სადაც ჯერაც მტკიცედ დაცულია მამა პაპათა ზნე და ადათები და სადაც ხალხი თხოულობს ხელისუფლების განმტკიცებას, სახელმწიფოებრივ მოქმედებას, ხოლო უნდობლობით ეპყრობა მაწანწალა მოლაყბეებს სახელმწიფო ალმშენებლობაში გამოცდილებასა და უნარს მოკლებულთა.

აფხაზების ტაქტიკას დამფუძნებელ კრების არჩევნებში ჩვენ არ ვამართლებთ: რესპუბლიკა დღეს ისეთს გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რომ ბრძანებლობით მოითხოვს ყოველი შეგნებული მოქალაქისაგან ლოიალობას და პატრიოტობას! დღევანდელს პირობებში პილატესებრ ხელის დაბანა უსაზღვრო დანაშაულად ჩასთვლელია ერისა და სახელმწიფოს წინაშე. ჩვენ მოვალენი ვართ მთელი ჩვენი ძალა და ენერგია სამშობლოს გამაგრებასა და დაცვას შევალიოთ. „ანგარიშის“ გასწორებას შემდგომაც მოვასწრობთ...

ამ თვალსაზრისით ჩვენ არ ვიზიარებთ აფხაზთა, ასე ვთქვათ, განდგომას, თუმცა კი ვგრძნობთ იმ მოტივებს, რომელთაც უკარნახეს მათ ბოიკოტის ტაქტიკა.

ყოველს შემთხვევაში, საქართველოს მტრები ნაადრევად მიეცნენ სიხარულს: აფხაზეთი დღესაც ერთგულია საქართველოისა და მის ინტერესების ხარჯთაღრიცხვიდან არც შემდეგში აღმოირიცხება.

„ჰე“ თუ „პრა“?

ინგლისის პოლიტიკა არასოდეს ყოფილა ისე გამოუცნობელი, როგორც დღეს. უკანასკნელი ოთხი საუკუნის განმავლობაში, მართალია, ინგლისი ამ გზით მიდიოდა და ვერავინ ვერ უგებდა მის პოლიტიკას ასაგალ-დასა

7-ი მარტიდან თბილისში გამოდის უოველკვირეული გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ აქვს შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მეცნიერება და მევენახეობა, მეაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ამ ფასში მხოლოდ თიბათვის ბოლომდე. რედაქტორი ნიკო. კაიშაური 4—3—17

საბაუკციონერო დარგაზი „დეიაფელი“

რუსთაველის პროსპ. № 84. ტელ. 6—84.

ნივთების მიღება კომისიაში 10 პროც. გაყიდულის ჯამიდან, დაზღვევისა და შენახვისთვის პროცენტებს არ ვიღებთ.

იძლევა სესხი, არის უოველ საქონლის ვაჭრობა

მხოლოდ 2 დღით

პარასკევს 9-სა და შაბათს 10-ს.

დარჩენილი მოდელებით ვაჭრობა თავის პირველ ფასებში: კოსტიუმები TAIPPEOR ინგლისურ აბრეშუმის მატერიიდან 9000 მ. 15000 მანეთამდე.

სასტუმრო „ინტერნაციონალი“ № 21.

12 საათ. 3 საათამდე და საღამოს 5 საამდე.

3066 1—1

დღეს:

შავი ზღვის ნაპირებზე ბოლშევიკები შეტევას განაგრძობენ.

იაპონიას ციმბირიდან თავისი ჯარი არ გაჰყავს.

რუსეთის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებმა უმაღლეს საბჭოს მანიფესტით მიჰმართეს.

წერილები:

მეთაური—აფხაზეთის არჩევნები.
ი. ხანანაშვილი—„ჰო“ თუ „არა“.
—დამფუძნებელი კრება.
ვ. წერეთელი—მიწის საკითხი.
ვ. კაკაბაძე—სიტყვარის შესახებ.
კორესპონდენცია: ზესტაფონიდან.

დაპირისპირება, რომელიც ამერიკასა და იაპონიის შორის არსებობს.

ეი ის ფაქტი, რომლის გარშემოც სულ ახალი ხლართები და კვანძები გაიბმება და რომელიც ახალ საერთაშორისო ჭარხლობას გვიქადის. საფრანგეთიც, გერმანიაც, რუსეთიც, იტალიაც და სხვა დიდი სახელმწიფოებიც მხოლოდ ალმასრულებელნი იქნებიან იმ როლებისა, რომელთაც დააკისრებს მათ ესა თუ ის ახალი კოალიცია. ერთის მხრით იქნებიან საღად დარჩენილნი ინგლისი და იაპონია, ხოლო მეორეს მხრით აგრეთვე სალი და ჯანმრთელი ამერიკა. ვის მიანიჭებს ბედი პრიორიტეტს, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, ხოლო ეს პრიორიტეტი და მსოფლიო საჭე რომ დღეს-დღეობით დიდ ბრიტანეთს უჭირავს, ეს კი უდავოა. მის ხელშია დღეს ბედი ევროპის ყველა სახელმწიფოებისა და ახლად აღმოცენებულ და განახლებულ ეროვნულ სახელმწიფოებისაც. ესგარემოება კი დიდის პასუხის მგებლობითა და შეგნებულობით ავსებს დიდს ბრიტანეთს მსოფლიო კულტურისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის წინაშე. რა გზით აპირებს იგი ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებას, არავინ იცის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკას ისეთი შემგნებლები ახასიათებს ხოლმე ხშირად, როდესაც საერთო, საკაცობრიო საქმე იჩრდილება და საკუთარი კი კეთდება, როდესაც ისტორიის ბორბლის ტრიალს ჯოხით აფერხებენ.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ მიმდინარე ისტორიულ ეპოქას ახასიათებს უმთავრესად ეროვნული მოძენტი. თითქოს ომიც ამ მოძრაობის კეთილ დაგვირგვინებისათვის დაიწყო, ზავიც ამით იკვრება, თითქოს ყველა წაგებული დარჩა, გარდა იმ ერებისა რომელნიც ომამდე საშინელ ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდენ და დღეს კი სახელმწიფოებრივ ყალიბს იღებენ, მაგრამ ყოველად გაუგებარია დიდი ბრიტანეთის ის პოლიტიკა, რომელიც ლოლიკურ მსვლელობასაც აძლევს ამ ეროვნულ მოძრაობასა და ამ ვე დროს მსვლელობის გზასაც უფუჭებს მას.

არც „ჰო“ და არც „არა“ კიდევაც „ჰო“ და კიდევაც „არა“.

ეი ის ერთად-ერთი ფორმულა, რომლითაც ხასიათდება დღეს ანტანტის, ანუ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა.

მაგრამ ერთხელაც არის ხომ უნდა ითქვას მის მიერ გადაჭრილად: „ჰო“ თუ „არა„, რომ ჩვენც გვიცოდით, თუ ვისთან ვიქნეთ დიდი კითხვების გადაწყვეტის დროს.

ი. ხანანაშვილი.

ევროპის გაზეთებიდან

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის დეკლარაცია.

კოპენჰაგენიდან 23 მარტის თარიღით იუწყებიან: საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა—ლიტვინოვმა გაუკეთა შემდეგი დიკლარაცია ერთ ამერიკელ ჟურნალისტს: საბჭოთა რესპუბლიკის განზრახვა მეტად მშვიდობიანი ხასიათისაა. ძლიერი ლაშქრის შექმნა აუცილებელია ყოველ მხრიდან მოსალოდნელი და არსებულ თავდასხმის წინააღმდეგ. ახლა საბჭოთა მთავრობის ჯარი გამარჯვებულია. დენიკინის, იუდენიჩის და კოლჩაკის დამარცხება მოხდა მათდამი მცხოვრებთა მტრული განწყობილებით, რომელიც რეჟიმის არ თანაუგრძნობდა. საბჭოებს არ უნდათ შური-ძიება, მათ არ უნდათ ვინმეს თავს დაესხნენ. ჩვენ პატივს ვცემთ ყოველი მხარის თავისუფლებას, გამოიმუშავონ მართველობის საკუთარი ფორმა. ამიტომ ყველა პატარა რესპუბლიკები, რომლებიც რუსეთის გარშემო მდებარეობენ, მართველობის ფორმის შერჩევის პროცესში იმყოფებიან. სამაგიეროდ ჩვენ ვითხოვთ ამასავე. რუსეთს უნდა მიეცეს საშუალება თვითონ განახორციელოს თავისი სოციალური მიზნები. ჩვენ არ გვინდა სხვისი ჩარევა საკუთარი შინაური საქმეებში.

რაც შეხება საგარეო პოლიტიკას ჩვენ არ გვსურს კავშირი ვინმესთან და არც გვინდა ვინმეს თავს დავესხათ.

ჩვენ განვიარაღდებით ეხლავე, თუ რუსეთი უშიშროებაში იქნება. ეკონომიურად ჩვენ ყველა სახელმწიფოებთან გვინდა ურთიერთობა.

ფინანსიურ საქმეებში ჩვენ ვლებთ ყველა ვალებს და სესხს ძველი რუსეთის და მათთან დამოკიდებული პროცენტებით.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ გერმანელთან საიდუმლო დამოკიდებულების, თუ ეს მოლაპარაკება ანტანტის წინააღმდეგი იქნება.

ჩვენ არ გვინდა არავითარი სამხედრო შეთანხმება.

პოლონეთის იმპერიალიზმი გვაიძულებს ჩვენ ჯარი შევაჩეროთ.

ჩვენ წარუდგინეთ პოლონეთს კანონიერი ზავი, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ პოლონეთის წარმომეცის პოლიტიკას რომ მას უნდა შეიერთოს ებერთელა ნაწილები რუსეთის ტერიტორიისა, იმ პირობით, რომ დაიცვან ხალხი ბოლშევიზმისგან.

ჩვენ პატივსცემთ ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ მიიღებენ საბჭოთა მთავრობის მართველობის ფორმას.

ჩვენი თეორია შემდეგი- ყოველი ეროვნება თავისუფალია თავის მართველობაში ისე ცუდად, რომ ეს არ ეხება სხვა ეროვნებათა თავისუფალ განვითარებას.

ეი პირობა საბჭოთა მთავრობის ქვეყნის ყველა ეროვნებათ:

1. საბჭოთა მთავრობის აღიარება. 2. უფლება საბჭოთა მართველობის ფორმის თავისუფალი განვითარებისთვის. 3. საბჭოები თანახმანი არიან სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში არ ჩაერიონ. 5) საურთიერთო გარანტიები. 6) ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენა. 7) წითელი ჯარის განიარაღება მაშინათვე, როდესაც ზავი იქნება დამტკიცებული. 8) საბჭოთა მიერ ძველი რუსეთის ყველა ვალების და სესხის მიღება, მათთან დამოკიდებული პროცენტებით.

ანარქისტების და სინდიკალისტების გამოსვლა ამერიკაში.

ბუენოს აირესიდან იუწყებიან, რომ ანარქისტებმა და სინდიკალისტებმა სცადეს მთელ სახელმწიფოში მოეხდინათ რევოლიუციონური მოძრაობა მთავრობამ შესძლო ხელი შეეშალა მათი გეგმისათვის. ბევრი მათგანი შეპყრობილ იქნენ. განზრახული იყო საერთო ვარიცვა. მრავალი ყუმბარები აღმოჩენილ იქნა.

Temps

აგრარული კანონი ბესარაბიაში

აგრარული კანონი, გლეხებისათვის მიწის გადაცემის, ერთხმად გავიდა პარლამენტში. კენჭის ყრის შედეგები მხურვალე ტაშით იქნა შეხვედრილი.

ბესარაბიის მინისტრმა უანკუმმა დღლობა განაცხადა მცხოვრებთა სახელ. თ.

მანიფესტი

რუსეთის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებისა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოსთან. გაზ. Les Debats-ში მოთავსებულია მთავარი ადგილები იმ მანიფესტისა, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს დიდის ზეიმით მიურთმევიათ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარისათვის.

მანიფესტში დაწვრილებით აღნიშნულია ის სამოქალაქო ანარქია, რომელიც მოსკოვში გამოგრებულ საბჭოთა მთავრობამ შეჰქმნა.

„რუსეთის ხალხის შეგნებული მასა არასოდეს არ შეურიგდება ბოლშევიკების ბატონობას, რომელიც დამყარებულია თავისუფლების შეზღუდვაზე ელემენტარულ უფლებების გაბათილებაზე. რუსეთის ხალხი ვერასოდეს ვერ იცნობს იმ კავშირს, რომელიც ბოლშევიკებმა ხალხის დაუკითხავად შეჰკრეს და რომლის ძალითაც რუსეთის მკვიდრ მცხოვრებთა მიწა-წყალი და ეროვნული სიმდიდრე იყოდება“.

მანიფესტის თითოეული წინადადება ჯეროვნადაა რუსეთის აღორძინების ღრმა რწმენით.

მანიფესტს ხელს აწერენ შემდეგი პირები: პირველი დუმის წევრები და დროებითი მთავრობის თავმჯდომარე თავადი ლვოვი როძიანკო, მილიუკოვი, კონოვალოვი, რატკოვი, აჯამოვი, ბაროზ ნოლდი, ნაბოკოვი, ვინავერი, სავინკოვი და სხვა.

მაქსიმ-გორკის განცხადება.

გაზ. „le goulois“-ში მოთავსებულია მაქსიმ-გორკის განცხადება, რომელშიდაც რუსეთის ცნობილი მწერალი აღნიშნავს თავის დაეჭვიანების მიზეზებს ბოლშევიზმში. „რუსეთი სულიერად ვერ განაახლა რევოლიუციამ პირიქით, რევოლიუციას მოჰყვა მმართველთა სრული თვითნებობა, რომელთაც ხელთ იგდეს ძალა-უფლება და რომელნიც მეტს სიმხეცეს იჩენენ, ვიდრე მათი წინამორბედნი.

დღეს უფრო მეტი არის დაჭყლეტილთა რიცხვი, ვიდრე წინანდელ რეჟიმის დროს“.

უკრაინა და რუმინია.

უკრაინის საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა რუმინიის მთავრობას რათა ორივე მხარემ დაიწყოს მოლაპარაკება. გაზ. „Le Matin“.

უცხოეთი

აზერბაიჯანი

ნოტა

მოკავშირეთა კომისრებისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიმართ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო შემდეგი დეპეშა:

„დღევანდელ პირობებში ჩვენ მოვალეთ ვრაცხთ თავს ვაცნობოთ თქვენს აღმატებულებას ამიერ-კავკასიაში მშვიდობიანობის დაცვის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი მთავრობების კეთილი განწყობილება თქვენი მთავრობის მიმართ სავსებით დამოკიდებულია თქვენზე, და ჩვენ გთხოვთ თქვენი საკუთარი ინტერესისათვის მშვიდობიანად გადასცრათ ისეთი საკითხები, რომელიც ყარაბახსა და სხვა მაზრებს შეეხება და სადაც დღეს ომი სწარმოებს. უმაღლეს საბჭოს მიერ პრინციპიალურად გადაწყვეტილი საკითხი ყოველგვარი უსიზღვრო თავდასხმის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ, არ უნდა იქნეს მიჩნეული როგორც შეუცვლელი პირობა. თუ ეს საზეიმო მოწოდება თქვენის მხრით არ იქნება დღესვე მოსმენილი, როდესაც ამიერ-კავკასიის ბედი წყდება, ამას არა სასურველი შედეგი მოჰყვება.

ასეთი შინაარსის დეპეშები დაეგზავნა ამიერ-კავკასიის დიპლომატიურ წარმომადგენელს. ასეთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

ცნობისთვის გაუწყებთ, რომ ჩემს მიერ საფრანგეთისა, ინგლისის უმაღლეს კომისართა და პოლკ. გაბბას სახელზე ამ რიცხვით შემდეგი ტელეგრამა გაიგზავნა: „თქვენო უმაღლესობის ტელეგრამის საპასუხოდ, რაიცამე მივიღე აპრილის 2 ს, გვაქვს პატივი გაუწყოთ: აზერბაიჯანის მთავრობა იღგა და დგას კიდეც ამ საკითხების მშვიდობიან გადაჭრის გზაზედ ამერ-კავკასიის ერთა შორის და ამ მშვიდობის მოყვარე პოლიტიკას იგი ფაქტიურადაც ადასტურებს, მიუხედავად იმისა, რომ შარშან იყო რამდენიმე სერიოზული შემთხვევა ზავის დარღვევისა არა ჩვენის ხმრივ და იყო მრავალი საბაბი, რომელთაც შეეძლოთ აზერბაიჯანის მთავრობა აქტ ურ შეჭიდებისთვის გამოეწვიათ მაგალითებად შეუძლიან მიუთითოთ მაჰმადიანთა აწიოკება და ამოჟლეტა სურმალინისა და ნახიჭევნის რაიონებში და აუარებელი რიცხვი მაჰმადიანთა დაწიოკებას ზანგეზურის მიდამოებში, ყარსის ოლქში მაჰმადიანთა ამოჟლეტა და სხვა.

ყველა ამ სერიოზულ შემთხვევებში მიუხედავად საზოგადო აზრის უმწერვალეს აღელვებისა აზერბაიჯანის მთავრობა აუღელვებლივ სცდილობდა მშვიდობიანი გზით მოეხდინა ლიკვიდაცია ამისა.

ამასთან ერთად აზერბაიჯანის მთავრობა ტფილისში მომხდარ ამიერკავკ. რესპუბლიკათა კონფერენციაზე 1919 წ. ყველა ზომებით მხარს უჭერდა იმ იდეას რომ ყველა სადაო საკითხები მშვიდობიან გზითა და არბიტრაჟით გადაწყვეტილი იყო. მაგრამ ამ იდეამ საერთო სანქცია არ მიიღო აზერბაიჯანის მთავრობის წყალობით კი არა. დაბოლოს თვით ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის იდეა ეკუთვნის აზერბაიჯანის მთავრობას და ამ მიზნით ამ დღეებში თბილისში მოწვეულია ახალი კონფერენცია. რაც შეეხება ყარაბაღის ამბებს, ყველა ის გარემოებანი რომელნიც საფუძვლად დაედნენ ამ ამბებს დეპეშით გაცნობეს ნამდვილად 28 მარტს. ამ დეპეშიდან თქვენ დაინახავთ რომ ეს ვერაგული თავდასხმა ჩვენს ჯარებზე წინასწარ დამუშავებულ პლანით, განსაზღვრულ ორგანიზაციით, იმ მიზნით რომ ძალით დაეპყრათ მთელი ყარაბაღი. საჭიროდ ვრაცხ დავამატო თომ ხმები იმაზე რომ ვითომც ყარაბაღის სომხებს გამოეცხადათ ბოიკოტი, რომ მათ დეენებოთ შუშა—ევლახის გზა და რომ აზერბაიჯანის მთავრობამ წინადადება მისცა იარაღის აყრის შესახებ და არტილერიის ცეცხლს მისცა მათი სოფლები სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს დღეგანდელ პირობებში როცა აზერბაიჯანის ხალხი პირის პირა სდგას დამოუკიდებლად გარეშე საფრთხის წინაშე, რომელიც ემუქრება მის დამოუკიდებლობასა და არსებობას, იგი დღეს უფრო, ვიდრე როდისმე საჭიროებს შინაურ წესრიგსა და მშვიდობიანობას. ამნაირ გარემოებაში, აღნიშნული ვერაგული შეთხზა მის თავდასხმას ბოირამის დღეს აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილებზე არ შეეძლო მთელ აზერბაიჯანის ერში არ გამოეწვია ურმრწესი აღშფოთება. აზერბაიჯანის მთავრობა რომელიც ხალხის ბედის წინ პასუხის მგებელია მოვალე იყო აესრულებინა თვისი წმინდა მოვალეობანი და მიეღო დაუყოვნებლივ ზომები ამ ამბოხების ჩასაქრობად, რომელიც მოაწყო პოროტგამზრახველთა ერთმა ჯგუფმა და რომელიც ემუქრებოდა თვით სახელმწიფოს თავსუფლებასა და არსებობასაც. აზერბაიჯანის მთავრობა მხოლოდ ზრუნავს ეხლა იმაზე რომ დაუყოვნებლივ აღდგენ ლ იქნეს წესიერება ყარაბაღში ისეთ პირობების უზრუნველ ყოფით, რომელნიც მომავალში თავიდან აიცდენდეს ამნაირ მოვლენათა განმეორებას. ამასთან ერთად მთავრობის მიერ მიღებულია ყველა ზომები მცხოვრებთა ლოიალურ ნაწილის უზრუნველსაყოფად.

საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. ხ ხოისკი.

ხომეხ თათართა დამოკიდებულება.

გაზ. „აზერბაიჯანის“ ოფიციალ განყოფილებაში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება ქ. ბაქოს გრაფონაჩალნიკის:

„ქალ. ბაქოში გავლის დროს, მგუშინ მოლაკნისა და მარტინის ქ. კუთხეში შევნიშნე გოროდოვოი, რომელიც სცემდა ვინმე სომეხს. მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩემს მიერ გაცემულ განკარგულებისა, ამნაირი შემთხვევები კიდევ გრძელდება. ამგვარ მოვლენათ შემდეგშიაც განმეორებას მე ვერ მოვითმენ, ამისთვის დაუყონებლივ ამის მიღებისთანავე წინადადებას გაძლევთ გამოარკვიოთ პიროვნება ხსენებულ გოროდოვოისა, რომელიც დაუყონებლივ უნდა იქმნეს მიცემული სამართალში და გამორიცხული სამსახურიდან.

ვიღებ რა მხედველობაში, რომ ზემოხსენებულ შემთხვევაში ბრალი ედება გორიდოვოის უფროსებს მოვითხოვ დაუყოვნებლივ: დათხოვნილ იქმნეს მე 5ე უბნის ბოქაული და მისი თანაშემწე და გამოეცხადოს პოლიციმეისტერს გაფრთხილება, რომ ამგვარ შემთხვევების გამეორებაში იგიც გამორიცხულ იქნება.

ამის აღსრულების შესახებ მაუწყეთ. შინაგან საქმ. სამინისტროს მმართველი გ. რუსთამხეგოვი.

მოხალისეთა განიარაღება.

შაბათს, აპრილის 3 ს მოხდა შეთანხმება აზერბაიჯანის მთავრობის პეტროვსკიდან ჩამოსულ მოხალისეთა ფლოტის უმაღლეს სარდლობის შორის.

ამ შეთანხმებით, აზერბაიჯანი იღებს დიდძალ სამხედრო მასალას რომელთა შორის არის ჰაეროპლანები ჰიდროპლანები, ჯავშნოსნები, რადიო სადგური, აუარებელი პატრონები, ვინტოვკები და არტილერია.

სამხედრო პირებს აზერბაიჯანის სხვა და სხვა ადგილებში ჰგზავნიან.

მარტის 3-დან ზოგი გაგზავნეს განჯასა და გეაქჩაიში. სულ მოვიდა 16 ტრანსპორტი.

ბაქოში ყოველ დღე მოდიან მოხალის. გემებით ოფიცრებით, გენერლებით ოჯახითურთ და დიდი მასალით. მთავარი სამხედრო ორთქლმავალები დგანან ხარგენთან და ზიხთან; ადგილობრივ ხელისუფალთ მხოლოდ სატრანსპორტო ბირეები განიარაღეს.

სარდლობის შემადგენლობაში იარაღის დაყრის შესახებ სხვა და სხვა აზრის იყვნენ: ერთნი იმ აზრისა იყვნენ, რომ განიარაღება საჭიროა ბაქოში, მეორენი—განჯაში (უმაღლესი სარდლობის შემადგენლობა) ჯარისკაცები და მეზღვაურები კი ასტრახანში წასვლას მოითხოვენ.

განიარაღებულ გემებისაგან აზერბაიჯანის მთავრობას ერგო 40.000 ვინტოვკა, რამდენიმე შორს სასროლი ზარბაზანი და სხვა სამხედრო თუ სამეურნეო ქონება.

დიდძალი იარაღი დარჩენიათ მათ პეტროვსკში; გამოიტანეს მხოლოდ რაც გემებით ჩამოიტანეს.

იარაღის მიღება და ლტოლვილთა გაგზავნა აზერბაიჯანის სხვა და სხვა ნაწილებში ახლაც გრძელდება. („ნ. ვ.“)

დელეგაცია საბჭოთა რუსეთში.

გაზ. „ნაშ კრაი“ იტყობინება: „როგორც გამოირკვა, აზერბაიჯანის დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა რუსეთში შეჩერებულია მისთვის, რომ მისი შემადგენლობა ჯერ მზად არ არი.

ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს საპარლამენტო ფრაქციებთან.

აზერბაიჯანის დელეგაცია იქნება კონტაქტში საქართველოს დელეგაციასთან აკაკი ჩხენკელის მეთაურობით“.

დამფუძნებელი კრება

6 აპრილის სხდომა

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი მდივნობს კ. ჯაფარიძე.

ივ გომართლის მოხსენებით მიღებულია საბოლოო ტექსტები წინა სხდომებზე მიღებული დეკრეტების და კანონ-პროექტების.

დახმარება აფხაზეთის კომისარიატს

ი. ხალაყაიას (ს. დ.) მოხსენებით მიღებულია დეკრეტი აფხაზეთის კომისარიატის ს ჰიროებისათვის ყოველთვიურად 1.000.000 მ. გადადებისა იანვრი პირველიდან.

სამხედრო ძალის ფორმის შეცვლა

ხ. მდივანი (ს. ფ.) მოახსენებს კრებას, რომ 1919 წ. 22 ივნისს შემოღებული ფორმა სამხედრო ნაწილისთვის მიუღებელი გახდა. სამხედრო კომისიამ შეადგინა ახალი ფორმა. ლენტები ისპობა. შემოღებულია ნიშნები საყელოზე, წინანდელი ქუდი შეცვლილია ინგლისური ქუდით, ტანისამოსი წააგავს ევროპიულს, ყოველივე ამას დართული აქვს სხვა და სხვა ფერები, ცხენოსანთათვის—იის ფერი, შტაბის მოსამსახურეთათვის—ყვითელი, მუქი ცისფერი—სანაპირო ჯარისკაცებისათვის. სამხედრო კომისიამ ეს ფორმა მოიწონა და მიუხედავად იმისა, რომ კანონით არ იყო დამტკიცებული, მაგრამ მაინც იგი გაატარა.

გრ. ვეშაპელი ვრცლად აღნიშნავს სამხედრო ძალების ფორმის ცუდ მდგომარეობას. „ვერ მოეწყო ჯარის ფორმის საქმე ისე, რომ ის შეეფერებოდეს სამხედრო ძალას.

კომისიები ბაძავენ ჩვენში შემოსულ სახელმწიფოებს. ჩვენ გავიცადეთ მათი გავლენა. ოსმალური პაგონები, ინგლისური ქუდი და სხვა.

შეიძლება ვსთქვათ, რომ უკვე სავსებით ამოიწურა შესაძლებლობა ფორმების შერჩევისა და მივედით ბოლომდისო, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც არ შეეფერება ქართულ ფორმის აზრს. ყურადღება იმას კი არ უნდა მიექცეს, თუ როგორ იცვამს ფრანგი, გერმანელი, ან სხვა, არამედ იმას, თუ როგორი ფორმაა მოსახერხებელი და ლამაზი.

ჩვენი სამხედრო უწყების მეთაურები, მეტი ინიციატივის ხალხი რომ იყოს, მათ შეეძლოთ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებიდან მრავალი მასალები აეღოთ, რაც ჩვენს ჩვეულებას და ტრადიციას შეეფერება.

მთიულეთი, აჭარა, სვანეთი, აფხაზეთი—ამ კუთხეებიდან შეიძლებოდა მეტი სახეების აღება, ვიდრე მოსულ მისიებიდან.

ჩვენი ჯარი საშინელ შთაბეჭდილებას ქმნის

დღეს კი, საკმარისია ნახოთ ჩვენი ჯარი პარადებზე, რომ ისინი ცუდ შთაბეჭდილებას ჰქმნიან. ზოგს კაბური ქუდი ხურავს, ზოგს რუსული, ვერ ნახავთ ერთ მცირე ნაწილს, რომ ერთნაირად ეცვას. არ იყო საჭირო კანონების დამტკიცება, სამხედრო უწყების შეთანხმება რომ სიყვარულით მოეკიდებოდენ საქმეს, ისინი პატარა ნაწილებში მაინც დაიცავდენ საჭირო წესს, თუ ბატალიონებში არა.

ფორმა უნდა შეეფერებოდეს ტრადიციებს

ჩვენი სამხედრო ძალების ფორმა უნდა შეეფერებოდეს ჩვენს ტრადიციებს, ბუნებრივ ჩვეულებებს.

ომის დროს ძნელი იქნება გარჩევა ჩვენი ჯარების რუსი ან სომხეთის ჯარებისაგან. ამას ადასტურებს ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა სომხებთან ომის დროს. მაშინ ჩვენ სანწრაფოდ დაგვჭირდა კოკარდების გაკეთება ჩვენი ჯარების გარჩევისათვის.

ჩვენ ჯარს ფორმა არ აქვს

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს ჯარს არავითარი ფორმა არ აქვს. ამის თქმა აუცილებელია, რათა მეტი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს, რადგანაც შეიძლება მალე ჩვენს ჯარს მოუხდეს დაპირდაპირება სხვა სახელმწიფოთა ჯარებთან.

ზ. გურული.

როგორც სამხედრო კომისიის მდივანი უპასუხოს გრ. ვეშაპელს და აღნიშნავს, რომ სამხედრო კომისიაში მომუშავე სპეციალისტები ცდილობდენ ფორმის შემუშავებაში შეეტანათ ნაციონალური სახე, მაგრამ ამ ნ ვერ მოგვცა საჭირო შედეგები. საერთოდ, აღნიშნავს ორატორი, თუ ჯარი არ არის ჩაცმული და ვერ ქმის შთაბეჭდილებას, ეს აიხსნება მატერიალური საშუალების უქონლობით.

ხვ. მდივანი

თავის პასუხში დასძენს, რომ ახლად შემუშავებული ფორმა არის საბოლოო, და სამუდამო, დროთა ვითარებაში ისიც უნდა შეიცვალოს და ამის იმედი უნდა ვიქონიოთ, სახელმწიფო უწყება შეძლებისდაგვარად ზრუნავს ჯარის ჩაცმისათვის. მან შეუკვეთა ფეხსაცმელები ინგლისს და ამისათვის გასცა თამბაქო, ხოლო ჯერ კიდევ ფეხსაცმელები არ სჩანან.

იმნაიშვილის (ს. დ.) მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ პროექტი სამაზრო და სასოფლო მილიციისა და ადმინისტრაციის ახალი შტატის დამტკიცების შესახებ.

იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი თბილისის უსინათლოთა სასწავლებელის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი თბილისის ობსერვატორიისათვის დამატებითი 495,635 მ. გადადებისა.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ-პროექტი საქართველოს შუზუმის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მ. რუხაძის. მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ პროექტი მესხეთ-ჯავახეთის და არტაანის რაიონში სამომრიგებლო ინსტიტუტის შემოღებისა.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ პროექტი მესხეთ-ჯავახეთის და არტაანის რაიონებში საგამომძიებლო ინსტიტუტის შემოღებისა.

გ. გაგლოევის (ს. დ.) მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო რკინის გზის ქუთაისის სადგურის გაფართოებისათვის მამულის შესაძენად 1.570.000 მ. გადიდებისა.

შემდეგი სხდომა გადაიდო ხუთშაბათს, 8 აპრილს, ჩვეულებრივ დროს.

ახალი ამბები

სამინისტროებში.

ინჟ. ფრიდის თხოვნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ბათომის კონსულისაგან:

საფრანგეთის წყლის და ელექტრონის „სჩოტჩიკების“ საწარმოვო ამხანაგობის წარმომადგენელი ინჟ. ფრიდი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მიაწოდოს მთავრობას, მუნიციპალურ და კოოპერატივების დაწესებულებებს ელექტრონისათვის საჭირო საგნები, თხოულობს თბილისში ჩასვლის ნებართვას, მისი ჩამოსვლა შედგება საქართველოს კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარის დარჩიასთან მოლაპარაკებისა პარიზში.

ლტოლვილები—თივის დასამზადებლად ყარაიაზში.

ერობათა კავშირი გზავნის ფოთში და მცხეთაში რწმუნებულს ყუბანელ ლტოლვილების გადმოსაყვანად ყარაიაზში თივის დასამზადებელ ორგანიზაციებში სამუშაოდ.

შუამდგომლობა.

თიანეთის სამაზრო ერობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ერობას მიეცეს 4, 261,085 მან. პროცენტიანი სესხი 5 წლის ვადით. ამ სესხს გამოიყენებენ შემდეგი საჭიროებისათვის:

1) ელექტრონის სადგურის და წისქვილის აგება.
2) სახერხი ქარხნის მოწყობა.
3) საქსოვი ქარხნის მოწყობა,
4) სკოლის შენობის აგება.
4) თიანეთ ბულაჩაურის გზის გაკეთება.
6) თიანეთ-მულაჩაურის-თბილისის გზის გამოკვლევა.

წარმოდგენილია ყველა საბუთები და ხარცთ-აღრიცხვა.

სხვა და სხვა ამბები.

ამიერ-კავკასიის კონფერენცია.

რადგანაც აზერბაიჯანის დელეგაცია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციაზე, ჯერ არ ჩამოსულა, ამიტომ ხსენებული კონფერენცია ჯერ არ გახსნილა. აზერბაიჯანის დელეგაციას გუშინ მოელოდნენ.

უფასო ბილეთები რკ. გზებზე.

დამფ. კრების საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ შეიმუშავა და საგზაო კომისიას წარუდგინა კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის რკ. გზებზე უფასო მოგზაურობით სარგებლობის შესახებ დამფ. კრების წევრთათვის.

წესი ქარხნების გახსნისა

საკვებრო პალატამ დაამთავრა განხილვა ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნის წესრიგის შესახებ.

თერგის ოლქის ლტოლვილნი.

თერგის ოლქის ლტოლვილთ მთავრობამ ნება დართო სახალხო სახლში გამართონ კრება თავის საჭიროებისათვის.

მოწოდება

საქართველოს რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობებს, ერობათა კავშირს, ქალაქთა თვითმართველობებს, ქალაქთა კავშირს, კოოპერატივთა ცენტრალურ და სარაიონო კავშირებს საქართველოში არსებულ სხვა და სხვა კავშირებს, კერძო დაწესებულებებს და პირებს.

თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების მძიმე პირობები განსაკუთრებით მძიმე და აუტანელნი არიან ქართველი სტუდენტობისათვის, რადგან მათ უხდებათ ერთის მხრით თავის რჩენა, ხოლო მეორე მხრით სწავლა, მეცნიერების შეთვისება. მეტი წილი ქართველი სტუდენტობისა ამ ჟამათ მსახურობს სხვა და სხვა საზოგადო თუ კერძო დაწესებულებებში, რაც ჭირს მეტის მეტად არა სასურველ და არა ნორმალურ მდგომარეობას, რადგან სამსახური ართმევს მოსამსახურე სტუდენტს საუკეთესო დროს, ართმევს მას ენერგიას და შეუძლებლად ხდის სისტემატიურ, დამშვიდებულ მუშაობას მეცნიერების შესათვისებლად. გარდა ამისა არიან ისეთი სტუდენტებიც, რომელნიც სიტყვით ღა ითვლებიან სტუდენტებად, რადგან ნივთიერმა ხელმოკლეობამ, უსახსრობამ იძულებული გახადა ისინი მოშორებოდენ უნივერსიტეტს. ასეთი არა ნორმალური მოვლენა არ არის მხოლოდ სტუდენტური საკითხი, იგი ფართო საზოგადოებრივი მოვლენაა და ამაში დაინტერესებული არის და უნდა იყოს ქართველი საზოგადოება და ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა, რადგან ამ სტუდენტობამ უნდა მისცეს ჩვენ სახელმწიფოს შესაფერისად მომზადებული კადრი აგრონომებისა, ექიმებისა, ეკონომისტებისა, პედაგოგებისა და სხვა. თუ არ იქნა მიღებული შესაფერისი ზომები და არ გაუმჯობესდა სტუდენტთა ცხოვრების პირობები, საფრთხეში იქნება ჩვენი რესპუბლიკის კულტურული და ეკონომიური წარმატება, ჩვენი მეცნიერული მომავალი, რადგან დღეს არსებული პირობები გაამეფებენ დილეტანტიზმს ყოველ დარგში.

ამიტომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა, იღებს რა მხედველობაში სტუდენტთა ცხოვრების არა ნორმალურ პირობებს, მოგმართავთ თქვენ თხოვნით დახმარება აღმოუჩინოთ სტუდენტებს სტიპენდიების დაარსებით, რათა ამ სახით საშუალება მიეცეთ მათ მთელი თავის ენერგიით ემსახურონ თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას-მეცნიერების შეთვისებას და დირსეულად შეასრულონ თავიანთი დანიშნულება სახელმწიფოს წინაშე.

ქართველ მწერალთა კონფერენცია

მეორე კრება ქართველ მწერლების ყრილობისა გაიხსნა „ქიმერიონში“ ორშაბათს 6 საათზე. თავმჯდომარეობს **ივ. გომართელი.**

თავმჯდომარის წინადადებით გრძელდება კამათი საბჭოს მოხსენების შესახებ.

ილ. ზურაბიშვილი მოითხოვს გახსნას კამათი მხოლოდ „ქიმერიონი“-ს შესახებ. მისი აზრით „ქიმერიონი“ არ არის ნამდვილი კლუბი მწერლებისა, არამედ მხოლოდ რესტორანი, და ამიტომ უნდა მოიხსნას ქართულ მწერლების ფირმა.

ვ. კოტეტიშვილი. არსებითად „ქიმერიონი“-ს შესახებ ის ითქმის, რომ აქ მხოლოდ რუსული კულტურის დაცვა ხდება. არტისტები, მხატვრები რუსები არიან, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ მეტი გასავალი ჰქონდეს ქართულ ხელოვნებას.

კამათში მონაწილეობენ: **დ. მეჩნიკურე, იპ. ვართაგავა, ტელი ჯაფარიძე, პ. მირიანიშვილი, ლ. მეტრეველი არ. რუხაძე** და სხვები. საბჭოს მხრივ უპასუხებენ **პაოლო იაშვილი** და **ტიციან ტაბიძე.**

პაოლო იაშვილი. ჩვენ ვერავინ გვიჩივლებს, რომ ქართულ ხელოვნებას ანგარიშს არ უწევდეთ. რუს მხატვრებთან ერთად მოწვეულნი იყვნენ ლ. გუდიაშვილი და ლ. ქაკაბაძე, მეორე ოთახს კი მარტო თოიძეები ხატავენ. ასე იყო არტისტების მხრივ. ჩვენ მივმართეთ ყველა ქართველ რეჟისორებს: წუწუნავადან დაწყებული გათავებული კონსტან ანდრონით. „ქიმერიონში“ პისებს სდგამს კ. ანდრონიკაშვილი ქართულ სტუდიის არტისტებით, ამაღე სცენაზე გამოსულა ვასო აბაშიძე.

ვერავინ დაამტკიცებს იმას, რომ „ქიმერიონში“ არ იდგმებოდეს მხატვრული წარმოდგენები.

აქ მუშაობდა ნიკოლაი ევრეინოვი რომელიც საყვარიზე ითვლება შეხუთე რეჟისორათ. ჩვენი ბრალი არ არის, თუ ზოგიერთმა უმეცარმა ეს არ იცის და კრებაზე მაინც განაგრძობს ტყუილა ლაპარაკს.

ტიციან ტაბიძე. საბჭო თავიდანვე ფრთხილად იქცეოდა, სანამ ჩვენ მოიჯარადრესთან კონტრაქტს შეკრავდით მოვახდინეთ თბილისში მცხოვრებ ყველა მწერალთა კრება, რომელთაც მიეცეს ეს დადგენილება, მხოლოდ სინდისის საკითხია, თუ ეს ხალხი დღეს მაინც ყვირის აქ წინააღმდეგს. ბგერითვე მხოლოდ **უკულტურობის** ბრალია, რომ ზოგ შინ გაზრდილ მწერლებისათვის მიუღებელია „ქიმერიონი“. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვცდილობდით შეგვექმნა თბილისში ქართველ მწერლებისთვის ბინა დაეს მაღე მიღწეული იქნება.

კამათი წყდება და შემოდის წინადადებები: **ლ. ჯაფარიძის, გ. კოტეტიშვილის** და **დ. მეჩნიკურის,** კრება იღებს რეზოლიუციას, რომ სანამ „ქიმერიონი“ ნამდვილ კლუბათ არ იქცევა დროებით ჩამოშორდეს ქართულ კლუბის სახელი.

მეორე კრება დანიშნული იყო სამშაბათს ქალაქის თვითმართველობაში. კრებას თავმჯდომარეობს **ივ. გომართელი.**

ვ. ლორთქიფანიძე. წინადადებას იძლევა მოწოდებით მივმართოთ ევროპის მწერლებს, რომ დაიცვან ჩვენი დამოუკიდებლობა. ამის შესახებ იმართება კამათი: რომელშიაც მონაწილეობენ: პ. მირიანაშვილი, ილია აღლაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, დ. კოპალი და სხვები.

კრება ადგენს მიეწეროს პრეზიდიუმს მოწოდების ტექსტის შედგენა.

შემდეგ საბჭოს სახელით **ტიციან ტაბიძე** აკეთებს მოხსენებას: მწერლების პენსიის დანიშვნაზე, ტრადიციულ პოეზიის დღის მოწყობის შესახებ, მწერალთათვის აგარაკის შოვნისა და საზღვარ-გარეთ პოეტების გაგზავნის შესახებ. მოხსენების შემდეგ იმართება კამათი, რომელშიც მონაწილეობს **ი. აღლაძე, იპ. ვართაგავა, პ. მირიანაშვილი. პაოლო იაშვილი, ს. აბაშელი.** კრება იღებს ყველა ტეზისებს მოხსენებისას და ავალებს პრეზიდიუმს მთავრობის მიმართვაში აღნიშნოს ეს მოთხოვნილებანი. პოეზიის ტრადიციულ დღეთ დანიშნულ იქნა 7 მაისი და მიენდო საბჭოს ამ დღის მოწყობა.

შემდეგ კრება პაოლო იაშვილის წინადადებით ადგენს გამოეცხადოს განსაკუთრებული მადლობა ქალაქის თავს **ბენია ჩხეიძეს,** რომელიც განსაკუთრებით ერთგულ ეხმარება ქართულ ხელოვნებას და რომლის წყალობით დაწყებულია თითქმის საბჭოს ყველა საქმეში.

დასასრულ არჩეულიქნა საბჭო 13 კაც., რომელშიაც შეედენ: კოტე მაყაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ივ. გომართელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, საშ. ანაშელი, აკაკი პაპავა, ი. გრიშაშვილი, ვარლამ რუხაძე, ობოლი მუშა, ვ. კოტეტიშვილი, ილია აღლაძე.

უკანასკნელი ცნობები

სომეხ-თათართა შეტაკება.

აზერბაიჯანის საინფორმაციო ნაწილის ოფიციალ ცნობით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 5 აპრილს დილის 6 საათზე სომეხთა შეიარაღებული ნაწილები თავს დაესხნენ სოფ. იარადულლას ყაზახის მაზრაში.

ამ ნაწილებს აუკლიათ სოფელი და ერთი მესამედი მცხოვრებლებისა ამოუჟლეტიათ. შემდეგ ამ ნაწილებს დაუწყიათ წინ სვლა სოფ. ტატლუსკენ მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთ მეზობელ სოფლელებთა დახმარებით მოუგერიებიათ მათი იერიშები და სომხების რაზმები იძულებული გამხდარან დაეხიათ ისევ იარადულისკენ. ომი გრძელდება.

ტერორი სამაჰმადიანო საქართველოში

სამაჰმადიანო საქართველოში ახლად შემდგარა „ინტერნაციონალი პლოკი“ რომლის ტერორისტებსაც მოუკლავთ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ხუსეინბეკ თიკანაძე რომელიც მტკიცედ დარაჯად ედგა სამაჰმადიანო საქართველოს შეერთების იდეას საქართველოსთან. ამავე ბლოკს მოუწყვია თავდასხმა იმ ავტომობილზე რომლითაც ჭობულეთს აჰარისკენ მიემგზავრებოდა თავდგირიძე საორგანიზაციო მუშაობის საწყობად.

მდგომარეობა ბათომში

ბათომში ბოლშევიკებს დაუარესებიათ რუსთა მეზღვაურების საზოგადოება და გარდა ამისა მათ იდეების მოწინააღმდეგე „რუს მუშათა კავშირი“ ორთავე დაწესებულებაში „ამხანაგებიც“ ემზადებიან საბჭოთა მთავრობის“ გამოცხადებას. თავისუფალ ჰრომაგანდისთვის იმართება მიტინგები ყველა ეროვნების მიერ ასე გასინჯეთ ინგლისელ მტრებ ოსმალებთა მიერაც კი. გამონაკლისს შეადგენს ქართველობა.

ერთი მრუსნის საყურადღებოდ *

ჩემს ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში „შვილდოსნის“ შესახებ გაკვრით და სხვათა შორის ხასხენები იყო გრიშაშვილი შემდეგი ფრაზით: „გრიშაშვილი ეხლაც განაგრძობს სხვის რითმებზე ნადირობას“...

ამ შენიშვნას ძალიან გაუბრაზებიაეს მგოსანი და „სახალხო გაზეთში“ ლია წერილით მიჰმართავს ჩვენს რედაქციას განმარტებისთვის.

ჩემთვის გაუგებარია ასე გვიანი გაბრაზება გრიშაშვილის, თითქოს პირველი შემთხვევა იყოს, რომ გრიშაშვილზე ასე სწერენ.

მან უპასუხოდ დატოვა, როცა საბუთებით და კონკრეტიულად მას ბრალი დასდეს და კიდეც დაუმტკიცეს რითმების და სახეების შეგნებული მითვისება ტიციან ტაბიძემ (იმავე „საქართველოში“,) ვალერიან გაფრინდაშვილმა („შვილდოსანში“) და უფრო ადრე გრიგოლ რობაქიძემ.

ჩემის მხრივ ამ ისტორიას უნდა დაუმატო, რომ გრიშაშვილს რითმების და სახეების ნადირობის ზნე წინედაც სჭირდა, რისთვისაც ერთხელ სანდრო შანშიაშვილისგან, მთელი პოემის გადაღების გამო, ხელით შეურაცყოფაც კი მიიღო.

შემდეგ ისეც თამამად განაგრძობდა ნადირობას (გაიხსენეთ „ტალღების კონცერტზე“ ჭაინეედამ „იცი ოლ-ოლ!“ გოეტეს „ვერტერიდან“—სიტყვა-სიტყვით, „სონეტი მარიჯანს“ გაფრინდაშვილის სახეები, „ლილეა სიონში“ მდიდარი რითმა ელენე დარიანის, რითმები შეგრელიშვილის, პაოლო იაშვილის „შეითანაბაზრის“ წაღება და მისი სეირნობა ხელნაწერ მუხამბაზებში. სამწუხაროდ საგაზეთო სასწრაფო წერილში შეუძლებელია მის გაფანტულ ლექსების შეგროვება და მათი გადათვალიერება ნიშნეულობით) ყველა ეს შეიძლება უბრალო მგოსანს ეპატიოს ძაგრამ არა „პირველ მგოსანს და რითმების ამირბარს“ ი. გრიშაშვილს.

საკმარისი იყო უკეთესი სახეები გამოჩენილიყო ქართულ პოეზიაში, რომ გრიშაშვილიც უფრო დაეწინაურებინა, გასსაკუთრებით როცა მან „ყარაჩოღულ სონეტების“ წერას მიჰყო ხელი.

თავის უკანასკნელ საკუთარ რითმებში კი მას ისეთი პროგრესი ეტყობა რომ სონეტში ხმარობს რითმად; „ცხელსა ფიცხელსა აფრაცხელსა“ მზისანი „ოქროსანი“ ჯარსა-აბჯარსა და სხ.

გრიშაშვილს ტყუილად ჰგონია რომ ასეთ აღელვებით თავს დაიძვრენს ხიფათისაგან. ჩვენ დიდი ხანია გვიცით, რომ ზრდილობა არ მოეთხოვება, იმას ვინც თავისთავს თვითონ უძახის „ავლაბრელ ოხერს“ მაგრამ ლიტერატურაში არაერთ მისცემს მას ამის ბოროსანი ოქროტად გამოყენების უფლებას.

მე ბოდიშს ვიხდი ჩვენი რედაქციის წინაშე, რომ მას ეხება ასეთ შეკითხვებზე პასუხი მაგრამ შაშინ, რა ითქმის „სახალხო საქმის“ რედაქციაზე რომელიც ყოველ დღე სავსეა პამფლეტებით და რომელიც ჰბეჭდავს ისეთ წერილს როგორიც არის ი. გრიშაშვილის უკანასკნელი „ენის აღვირი“.

ქ. თბილისი.
5 აპრილი.

გ. ლეონიძე.

სიტყვარის შესახებ.

ბ შალვა ბერიძის პასუხად.

II *)

ბ. შალვა ბერიძე ტეხნიკური სიტყვარის შესახებ დასტამბულ „ბიბლიოგრაფიულ ეტიუდებში“ ხშირად იმეორებს— „ან რა საჭიროება მოითხოვს, თუ არ უბრალო გადაჭარბება“... ამ ამ უცხო სიტყვების თარგმნა „არ არის გამოწვეული რაიმე საჭიროებით“-ო და სხვა.

არ ვიცით, ვინ რას სთვლის „საჭიროებად“, მხოლოდ ჩვენ ასეთად მიგვაჩნია ყოველივე ის, რაც ქართველი ერის განვითარების და დაწინაურების საქმისათვის ხელის შემწყობ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს. თუ ეს შეხედულება გავიზიარეთ, და მისი გაუზიარებლობა კი შეუძლებელია საქართველოს ბედიღბლით ყველა დაინტერესებულთათვის, მაშინ აუცილებლად ეროვნულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას უნდა დაუჭიროთ მხარი.

ყველა იმ მოსაზრებების გარდა, რომელნიც წინა წერილში მქონდა აღნიშნული, ეს კიდევ იმიტომ არის საჭირო, რომ სამეცნიერო უცხო ტერმინებას შემოღებით ქართულ ენას საწინლად დავამახინჯებთ, „ესპერანტოს“ მზგავს ჟარგონად გადავაქცევთ და საქართველოსაც საფრთხეში ჩავაგდებთ, ვინაიდან ყველა ერს თავის სახის და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ესაჭიროება საკუთარი და თანამედროვე კულტურის დონეზე მდგომი ენა.

სწავლა-განათლების გასაგებ ენაზე, გასაგებ სიტყვებით გადაცემას მოითხოვს ჰედაგოგიური თვალსაზრისიც, რადგან გასაზეპირებელი და გაუგებარი სწავლა ადამიანისთვის წვალებად იქცევა და მხოლოდ უარყოფითი შედეგებს იძლევა; მშობლიური, გასაგები ენით სწავლება კი ცოდნას უფრო ადვილად გაავრცელებს, მას უფრო ადვილად შეათვისებინებს ხალხს და განათლების საქმეს უფრო მტკიცე და მჭიდრო ნიადაგზე დააყენებს. მშობლიურ, გასაგებ ენაზე ცოდნის ფართო გავრცელებას მოითხოვს აგრეთვე დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი ინტერესები, ვინაიდან, რამდენად დაწინაურებულია დემოკრატია, იმდენად მისი და მაშასადამე, სახელმწიფოს მდგომარეობაც უზრუნველყოფილია.

ყოველივე ამას შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოთ, თუ მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ სწავლა—განათლებას ამიერიდან დაეწაფება მთელი ერი და არა პრივილეგიური პირობებში ჩაყენებული მისი მცირე ნაწილი.

ვფიქრობ, აბას ივიწყებს ბ. შალვა ბერიძე, როდესაც „მშვენიერ, უცხო“ ენების მიერ შესისხლხორცებულ ტერმინების გადმონერგვას გვიქადაგებს. გამოდის, თითქოს ქართული ტერმინოლოგია იქმნება იმათთვის, რომელთაც უცხო ტერმინოლოგია ან სავსებით ან ნახევრად შეთვისებული აქვთ. ესენი არიან უცხო ნიადაგზე კურს დასრულებულნი ანუ, ასე ვსთქვათ, სწავლა-განათლების მიღების საქმეში შუა გზაზე გაჩერებულნი... თუ მათ დავეკითხეთ, თუ მათი „პირდაპირი ინტერესები“ მივიღეთ მხედველობაში, მაშინ, ეჭვს გარეშეა, უცხო ტერმინების დატოვება მოგვიხდება, ვინაიდან მათ ეს ტერმინები შესწავლული აქვთ; ახალი, ქართული ტერმინების შემოღება კი მათთვის ეროვნულ სიძნელეს წარმოადგენს. უცხო მაგრამ ვიე-ვაგლახით უკვე შეთვისებულ ტერმინების დატოვების უპირატესობა და სიადვილე ქმნის განსაკუთრებულ ფსიხოლოგიურ ატმოსფერას, ტერმინოლოგიის გაეროვნების უარისყოფას და მისი საწინააღმდეგოდ გამოლაშქრებას.

ეს შეიძლება უნებლიედაც ხდებოდეს... მაგრამ ასეთია ადამიანის ბუნება!..

ამას თან ერთვის ტრადიციის გავლენა, ავტორიტეტის ჰიპნოზი და თანდაყოლილი კონსერვატიზმი. და ყოველივე ეს ძირითად რეფორმის წინააღმდეგ მიმართულ რეაქციას ჰქმნის...

მაგრამ ჩვენ ამას განა ანგარიში უნდა გაუწიოთ?!

როდესაც მთელი ერის ინტერესები მოითხოვს გაბედული ნაბიჯის გადადგმას, საჭირო რეფორმის ცხოვრებაში გატარებას,—არ შეიძლება წვრილმანებმა შეგვაჩეროს და აუცილებელ „საჭიროების“ განხორციელებაზე ხელი აგაღებინოს.

ჩვენ არა უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტერმინოლოგიას ვქმნით ფართო მასისათის, ხალხისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომელთაც მეცნიერების ჯერ არაფერი გაეგებათ და რომელთაც მისი შეთვისება ანბანიდანვე დავაწყებინოთ და განა საკმაოა, თუ რა იქნება მისთვის უფრო გასაგები, უფრო ადვილად შეთვისებელი და დასამახსოვრებელი: მაგალი, პერპენდიკულიარი, ფოსფორესცირება თუ მზიდარო, მართობი, ციცაბოობა და სხვ.

ამრიგად, ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, თუ ვისთვის ვქმნით სამეცნიერო ტერმინოლოგიას; ის იქმნება ხალხისთვის და ტერმინებიც მისთვის გასაგები, ხვილად შესათვისებელი, მშობლიური სახელებით გამოსახული უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, რა მხრითაც არ უნდა მიუდგეთ საკითხს, ყოველთვის **ეროვნული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავების საჭიროება** უნდა ვალიარობთ.

აქ ორი აზრი, ჩვენის ფიქრით, შეუძლებელია.

და სწორედ ეს აზრი, ეს დებულება სათანადო რეზოლიუციის სახით გაიზიარა სასწავლო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარედ პატივცემული პროფ. ივ. ჯავახიშვილი და წევრებად სახელმწიფო უნივერსიტეტის უმთავრესად ის პროფესორები არიან, რომელთაც თავის წერილებში ბ. შალვა ბერიძე ეყრდნობა.

როგორ მოხდა, რომ მათ ამ დებულებას, ამ დედა-აზრს დაუჭირეს მხარი, როდესაც თვით უნივერსიტეტში უფრო ხშირად უცხო ტერმინებს ხმარობენ?! აქ საკვირველი არაფერია. დედა აზრი არის, ასე ვსთქვათ, ერთგვარი იდეალი, რომლის სავსებით განხორციელება საკმაოდ დიდ შრომას და დროს მოითხოვს, დედა-აზრის გაზიარება არ მოითხოვს, რომ იმ წამსვე, ერთბაშად ის ცხოვრებაში გავატაროთ, არამედ გვავალებს შეუდგეთ მის განსახორციელებლად საჭირო მუშაობას და საქმიანობას...

ამნაირად, გამოდის, რომ ტერმინოლოგიის შემუშავების დროს არ შეიძლება დედა-აზრად, სახელმძღვანელო პრინციპად არ გავიხადოთ ის დებულება, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგია ეროვნული უნდა იყოს და მას არ შეუფარდოთ ჩვენი საქმიანობა ამ დარგში.

რადგან ეს ასეა და რადგან ჩვენი ჯგუფი ტერმინების შემუშავების დროს ამ გზას არ ასცილებია, საფუძლიანად ვერ შეიძლება ჩაითვალოს ბ. შალვა ბერიძის ლაპარაკი „გადაჭარბების“ შესახებ. აქ „გადაჭარბებაზე“ კი არ შეიძლება ლაპარაკი, არც იმაზე, რომ იმას „საჭიროება“ არ მოითხოვდაო, არამედ მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად რიგიანად შევსძელით ჩვენ მიერ დაკისრებულ მოვალეობის შესრულება.

შეიძლება სიტყვარში მოთავსებული ტერმინები ბევრი გამოსაცვლელი იყოს, მაგრამ ეს დედა-აზრის უვარგისობას ან მისი უარყოფის საჭიროებას კი არ ამტკიცებს, არამედ გვავალებს რიგიან სიტყვების წარმოსაშობად ენერგიულ მუშაობას, მოფიქრებას და ღრმა ჩაკვირვებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ შეუძლებელია გავიზიაროთ ბ. შალვა ბერიძის დებულება, რომელსაც ის ჩვენ დედა-აზრს უპირისპირებს: **„ვთარგმნოთ ის, რისი თარგმნაც შესაძლებელია“.** მიუღებელია აგრეთვე ის მეთოდი, რომლის შემწეობით ცდილობს ის თავის დედა-აზრის დამტკიცებას.

იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა ფრის თარგმნა შეუძლებელია, ბ-ნ რეცენზენტს მოყავს „ჭუს. ქართული იურიდიული ლექსიკონი“, „კომერციული სიტყვარი“ და „მასალები დიაგნოსტიკის ტერმინოლოგიისა“, რომლებშიაც, მისი აზრით, „სრულიად სამართლიანად უარყოფილია პრინციპი გაერთენებისა, ძალდატანებით თარგმნისა, უცხო ტერმინოლოგიის მაგიერ ხელოვნურ ტერმინოლოგიის შემოღებისა“.

ბ-ნ შალვა ბერიძეს მოსწონს და კანონიერად მიაჩნია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება, შემდეგი წესით: Апелляція—აპელაცია, Артель—არტელი, Архивъ—არქივი, Гидротехническій—საჰიდროტხნიკო, Гипнозъ—ჰიპნოზი, Лабораторія—ლაბორატორია, Литографія—ლიტოგრაფია, Адресатъ—ადრესატი, Авансъ ავანსი Ликвидація—ლიკვიდაცია, Фактура—ფაქტურა, Афонія—აფონია, Аномалія—ანომალია, Аневризма—ანევრიზმა და სხვ.

უნდა აღვნიშნოთ ერთი ის, რომ ამნაირად ტერმინოლოგიის შემუშავება შეიძლება მხოლოდ ზედმეტი სიჩქარის ან მუშაობის გაადვილების განზრახვით; უცხო სიტყვების ქართული ასოებით გამოსახვა, რასაკვირველია, სულ ადვილი საქმეა, მხოლოდ არა გვგონია, რომ ამნაირად ტერმონოლოგიის შემუშავება უფრო „კანონიერი“, „საჭირო“ და სასარგებლო“ იყოს ეროვნულთან შედარებით. საქმის ინტერესები მოითხოვს გაკეთდეს არა ის, რაც უფრო ადვილია, არამედ, რაც უფრო მიზან-შეწონილი, საჭირო და დამაწინაურებელი არის. ამასთან ერთად საქმის სიძნელემ არ უნდა შეგვაშინოს, რადგან ყოველივე რთული და სერიოზული საქმე უზომო ენერგიას და უნარს, დიდ საქმიანობას და დროს მოითხოვს.

*) რედაქციისაგან: დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება. ამასთანავე სპობს ყოველგვარ კამათს ამ საკითხის შესახებ. **რედ.**

**) იხ. „საქართველო“ № 74.

შეორე, რა მოსაზრებითი, რა საბუთებით ამტკიცებს ბ. შალვა ბერიძე ამ ტერმინების ქართულად გამოსახვის შეუძლებლობას? ამის მტკიცება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ზემოდასახელებულ „ლექსიკონებში“ უთარგმნელად არიან მოყვანილი, ხომ მიუღებელია! შეიძლება (მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო აგრე იყო!) მათ ავტორებს სრულიად არ უფიქრიათ ამ ტერმინებთათვის ქართული ეკვივალენტების გამონახვაზე...

მესამე. როგორლაც გაუგებარია ბ. შალვა ბერიძის ფორმულა: ვთარგმოთ ის, რისი თარგმნაც შესაძლებელიაო.

ბ-ნ რეცენზენტს, ალბად, კარგად მოეხსენება, რომ „შესაძლებლობა“ შედარებითი ცნებაა. ის, რაც შეუძლებელია ერთისთვის, შესაძლებელია მეორესთვის; რაც შეუძლებელია ერთი ადამიანისთვის, შესაძლებელია — ჯგუფისთვის: რაც შეუძლებელია დილეტანტისთვის, შესაძლებელია—სპეციალისტისთვის. რაც შეუძლებელია ზერელე და მცირე მოფიქრებისას, შესაძლებელია — ღრმა და ხანგრძლივ ჩაფიქრების შემდეგ და სხვა და სხვა.

ამნაირად, ბ. შალვა ბერიძის დედა-აზრი-გთარგმნით ის, რაც შესაძლებელია-ბუნებოვანი, გამოურკვეველი, მერყეევი, ელასტიური, სიადვილეს მაძიებელი, ასე ვსთქვათ „ოპორტუნისტული“ და მაშასადამე, მიუღებელი არის.

დედა-აზრი კი უნდა იყოს გარკვეული, მტკიცე, ურყევი... ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ჯგუფის დედა-აზრი.

სამეცნიერო ტერმინოლოგია ეროვნული უნდა იყოს...

აქ შეუძლებელია მერყეობა, პრინციპისთვის ღალატი ან „სიზარმაცე“ მაშინ, როდესაც ბ. შალვა ბერიძის ფორმულით ადამიანმა თუნდაც ერთი წუთის ფიქრის შემდეგ შეუძლია სთქვას: „ჰე, ძნელია ამის მოფიქრება!.. „შეუძლებელ“ ტერმინთა რიცხვში უნდა მოექცეს“-ო.

პირველ შემთხვევაში ქართული სახელის გამონახვა წარმოშობა აუცილებელია და სავალდებულო, მეორეში—არა. პირველი, რასაკვირველია, უფრო ძნელია; მაგრამ, თუ გვწამს, რომ ეროვნული, ადვილად გასაგები, ადვილად შესათვისებელი და დასამახსოვრებელი, მარტივი და მტკიცე ტერმინოლოგია ხელს შეუწყობს ერის განვითარების და წარმატების საქმეს,-ამ გზას არ უნდა აუხვიოთ...

ასე დაწვრილებით დედა-აზრზე იმიტომ შევჩერდი, რომ ეს არის უმთავრესი, შეთანხმება სწორედ ამ ნიადაგზეა საჭირო, აქ არის საჭირო სამუშაო „პლატფორმის“ და გეზის გამომუშავება. დანარჩენი კი თვით მუშაობის პროცესში გამოირკვევა...

ინჟ. ვ. კაკაბაძე.

(დასასრული იქმნება).

„სწავლა და გართობა“

(ბიბლიოგრ. შენიშვნა)

აქ ჩვენ საქმე გვაქვს უცხო ენების შესწავლის თავისებურ მეთოდთან. მეთოდი მართლაც ორიგინალური და ყურადღების ღირსია სკოლების ადმინისტრაციის, ცალკე პედაგოგების და მშობლების მხრივ. დედა-აზრი რომელზედაც აგებულია გამოცემა გამოხატება შემდეგში: გამომცემელს სურს გამოიყენოს ჰედაგოგიური მიზნით ჩვეულებრივი „ლოტო“-ს თამაში, რომელიც ბავშვებს დიდათ მოსწონთ (ბაზედოვის პრინციპი).

ჯერ ჯერობით გამოცემულია მხოლოდ ქართული წარწერები, ასეთი გამოცემა სასარგებლოა უცხოელ ბავშვთათვის ქართულ ენის შესწავლის დროს.

საჭიროა გამოიცეს სურათები უცხო ენებზედაც.

თუ ზოგი ნაკლი ამ გამოცემისა შემდეგისათვის შესწორდა, უნდა იმედი გვქონდეს, ის მტკიცე ნიადაგს მოიპოვებს ჩვენს ბალში, რომელსაც ასე ესაჭიროება უცხო ენების საფუძვლიანი შესწავლა.

სიდ.

ხ ე ს დ ე გ ა

მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ქ. გორის უძრავ მამულების მესაკუთრეთა კავშირისა „პატრონი“.

I. მიზანი და საშუალებანი კავშირისა.

§ 1. კავშირის მიზანია: აღდგინა და შეკეთება დანგრეულ და დაზიანებული შენობებისა და წვერთა ქალაქში მდებარე მამულების ინტერესების დაცვა.

§ 2. ამ მიზნის მისაღწევათ კავშირი ხმარობს შემდეგ საშუალებებს: ა) აღდგენს სასწრაფოთ დანგრეული და დაზიანებულ წვერთა შენობების რეგისტრაციას, ბ) იკვლევს ზარალის რაოდენობას, გ) აღგენს ახალ შენობების „საშენებლად ან დანგრეულების შესაკეთებლად გეგმებს და ხარჯთ-აღრიცხვას, თანახმად მთავრობის მიერ შემუშავებული შენობის ტიპისა და საამღშენებლო დებულებებისა, დ) გამონახამს გზებს გრძელი ვადიან და შეღავათიან კრედიტის საშოვნელად წევრთათვის, ე) შეიმუშავებს და მთავრობას წარუდგენს დებულებებს, რომელნიც უზრუნველ ჰყოფენ გორის აღდგენის საკითხისათვის. ვ) უშოვის წევრებს საჭირო საამღშენებლო მასალას შეღავათიან ფასებში. ზ) უზრუნველ ჰყოფს წევრებს შუშა ხელით. თ) შეამდგომლობს მთავრობის წინაშე წევრთა ინტერესების დაცვაში და ი) ყოველნაირ ზომებს ხმარობს ქალაქის აღდგენაში თანახმად თანამედროვე კულტურულ მოთხოვნილებისა.

II. მოქმედება და უფლება.

§ 3. კავშირი აღჭურვილია სრული იურიდიული პირის უფლებებით, რომელნიც დადასტურებულნი არიან სათანადო მთავრობის მიერ.

§ 4. ამ უფლებების ძალით კავშირი აწარმოებს მიწერ მოწერას ყველა სახელმწიფო, საზოგადო დაწესებულებებთან და კერძო პირებთან. ჰკრძამს მათთან ხელშეკრულობებს და მოქმედობს წევრთა სახელით, როგორც დაწესებულება; იწვევს საჭიროებისამებრ მცოდნე პირთ, აძლევს მათ გასამრჯელოს, იღებს მონაწილეობას თავის წარმომადგენლების სახით იმ სახელმწიფო, საქალაქო, საზოგადო ან კერძო ორგანიზაციებში და კომისიებში, რომელნიც შესდგებიან გორის აღდგენის საკითხისათვის. აწვდის თავის წევრებს შესაფერ ცნობებს, რჩევას და იღებს მათგან ყოვენ ნაირ განცხადებას შესახებ მათი მამულებისა. კავშირი კისრულობს შუამავლობას საქალაქო მამულის გაყიდვა-შეძენაში.

§ 5. კავშირს აქვს საკუთარი ბეჭედი.

§ 6. კავშირი ხელს უწყობს ყველა უმამულო მოქალაქეთ, რომელთა სურთ შეიძინონ ქ. გორში მამული და გახდნენ კავშირის წევრებად.

§ 7. კავშირს აქვს კანტორა ქ. გორში. კავშირს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი ორგანოები კომიტეტის სახით, კომიტეტი შესდგება 15 კაცისაგან.

პრეზიდიუმის შემადგენლობა. თავმჯდომარე ზ. ქიტიაშვილი. მისი ამხანაგი გ. ბერიძიშვილი. მდივარე მ. რ. ერისთავი. მდივანი ან. კასრაძე.

პირველ ორ დღეს უკვე ჩაწერა სამასამდე კაცი. კომიტეტმა უკვე შეადგინა სატხნიკა კომისია, რომელშიაც შედიან ადგილობრივი ინჟენრები და ტეხნიკოსები. მცხოვრებლები დიდ ამედებს ამყარებენ თავიანთ მიერ არჩეულ კომიტეტზე.

კომიტეტის თავმჯდომარემ და მოლარემ ინახულეს მინის ჯარი არსენიძე, რომელიც დაჰპირდა ყოველნაირ დახმარებას.

კორესპონდენცია

ქ. ზესტაფონი

პარასკევს, მარტის 12 შესდგა შორაპნის მაზრის მასწავლებელთა კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ხარჩილაძე, ამხანაგად კოლია მაჭავარიანი. დღიური წესრიგში იყო 30 საკითხამდე. საკითხების მოწესრიგების შემდეგ მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა 12 მარტის დღესასწაულზე. იღერეს ქუჩებში „დღდება“. მიტინგზე მასწავლებელთა სახელით ფრიად მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოსთქვა ტრიფონ თაბუკაშვილმა. დღესასწაულზე მონაწილეობის მიღების შემდეგ მასწავლებლები დაბრუნდნენ სამოქალაქო სასწავლებელში საკითხების გასარჩევად.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ასეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი კრება შორაპნის მაზრაში მასწავლებლებს ჯერ არ ჰქონიათ.

დიდი კამათი გამოიწვია მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობამ,—ცხარე კამათი შეიქნა ამ საგანზე. მასწავლებლები ადგენ ერთ აზრს: (გარდა ორი სამისა) „ჩვენ მოვითხოვთ და უყოვნებლივ დაკმაყოფილებას ძველი ოვეების ჯამაგირებით და ყოველ ოცში თუ არა ოცდა-ათში მაინც ყოველთვის ჯამაგირის დარიგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინაიდან მშიერი კუჭით ძნელია საქმის გაძღოლა და მუშაობა, იძულებული ვიქნებით დავსტოვოთ ადგილები და მივაშუროთ სახლკარს, რომ სიმშილიდან მაინც თავი დავახწიოთო“.

კრებაზე მოვიდენ სიმონიკა გოცაძე და ებანოიძე. სიმონიკა გოცაძე, რის სიმონიკა გოცაძე იქნებოდა თუ თავისებურად არ დასწრისდა დაჩაგრულ მასწავლებლებს და არ მოინდომებდა მათზედაც გაბატონებას.

კრება აღელდა, მოთმინებიდან გამოვიდა, გოცაძეს და ებანოიძეს მოსთხოვეს დარბაზის დატოვება, მაგრამ ისინი როდი დაემორჩილენ მასწავლებლების მოთხოვნილებას. თავმჯდომარე კრებას ველარ აწყნარებს. მის ადგილს იკავებს ამხანაგი მაჭავარიანი, ვერც ის ხდება რამეს. და ბოლოს ირჩევენ თავჯდომარედ სიმონ ჭედლიძეს. მან წესისლო კრების დაწყნარება... მეორე დღეს, 13 მარტს კრება გრძელდება საკრებულო დარბაზში. დაიწყო თუ არა მსჯელობა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მასწავლებლების ერთი ჯგუფი (5-6 კაცი) ითხოვს პარტიულად დაჭსასვას და საკითხების ისე გადაჭრას. ამ ჯგუფში ბრძანდებოდენ ვლადიმერ არეშიძე, მანუილ კუპატაძე, დავით სუბიაშვილი მანუილ გაბრიჭიძე. კრებამ არ მისცა მათ ამის ნება. „ჩვენ მოვედით არა მისთვის, რომ პარტიებათ დავიჭაჭოთ არამედ მიტომ, რომ პედაგოგიური საკითხები და ჩვენი ჭირ-ვარამი შეერთებული ძალღონით გადავსჭრათ“ აი პასუხი კრებისა. ჯგუფმა მიატოვა კრება. მათ შორის მასწავლებელთა საწყობის „ცისკარის“ სარედაქციო კომისიის წევრმა დ. სუბიაშვილმა. როცა საკითხი მიდგა კოოპერატივზე და სარევიზიო კომისიას მოხსენება უნდა გაეკეთებია გამგეობის მოქმედებაზე, დავით სუბიაშვილს შეუთვალეს დაბრუნებოდა კრებას, დაკისრებული საქმის შესახებ მოხსენების გაკეთებას...

მეტად საინტერესო საკითხი იყო აგრეთვე საჩხერის მაღ. დაწყ. სასწავლებლის გამგისა და მასწავლებლების შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ საქმის გარჩევას უნდა დასწრებოდა საჩხერის მაღ. დაწყებ. სასწავლ. გამგე კი ჩაჩიეშვილი და საბაზრო ერობის გამგეობის წევრი მენაღარაშვილი. პირველმა არ იკადრა მობრძანება, რადგან მოელოდა კრიტიკის ქარცეცხლში გატარებას და მეორეს სამჯერ-ოთხჯერ ეახლა მასწავლებლების მიერ გაგზავნილი დელეგაცია, მაგრამ მენაღარაშვილი როდი უწევს ანგარიშს მასწავლებლობა. იგი მაძღარი, კმაყოფილია ბედით, მშიერ მასწავლებლებს, რომელთაც სადილის ფულიც კი არ ჰქონდათ ჯიბეში, ანგარიშს რაზე გაუწევდა?

მოთმინებიდან გამოსული კრება აგზავნის ჩხეიძეს, ხმოსანს მ. გვალიას და გამგეობის (მასწავლ. კავშირ.) თავმჯდომარე ო. ჭურაძეს. როგორც იყო მობრძანდა მენაღარაშვილი. მაგრამ საქმის შესახებ მოხსენებას როდი აკეთებს.

ამბობს: „მე კრებას კანონიერად არ ვსცნობო ვინაიდან თქვენი ჯგუფი გაქვთო“. წარმოიდგინეთ ეროვნების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი ასეთი განცხადება „მეორე კრება აქვს მასწავლებლებსო“. ის ანგარიშს უწევს იმ ჯგუფს, რომლის ლაშქარი შესდგება 6 კაცისაგან. და კრებას, რომლის რიცხვი აღემატება 20-30-ჯერ მეორე ჯგუფს, ანგარიშს არ უწევს. მასწავლებლები აღშფოთდენ გამგეობის წევრის ასეთი მოქმედებით და შესაფერი პასუხი გასცეს მას. სიმონ ჭედლიძემ გააკრიტიკა მენაღარაშვილი და თანაც დაამატა: „როცა ისეთი უკანონო მოქმედებები ხდება, როგორც საბერის ინციდენტი და საქმე მოითხოვს სიმართლის გამორკვევას, მენაღარაშვილი არ კადრულობს მოხსენების გაკეთებას. ეს ასე არც ნიკოლოზის დროს ხდებოდაო“. მენაღარაშვილს გული მისდის და ფეხის ბაკუნით სტოვებს კრებას...

საკმარისია ისიც თუ როგორ გააშვეს მასწავლებლებმა მენაღარაშვილი.

მაგრამ არ იქნება ურიგო თვით მთავრობა მიაქცევდეს ყურადღებას შორაპნის საბაზრო ერობის გამგეობის მოქმედებას. და შესაფერის პასუხს მოითხოვდეს მათ. ბევრი რამ იმალება იქ, რაც ახლო მომავალში გამოირკვევა.

ჯ. გუთნურისპირელი.

რედაქტორი
„საქედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

მედიცინის დოქტორი
მ. ა. ახვერდოვი
პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს **სპეციალურად ვენერიულის. სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი,** დილით 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ შინაზე **მიხვილის პრ. № 7 გოთრონცოვის ძეგლთან.** შესავალი **ეკლესიის ჭუჩის კუთხიდან.**

ვ. ჭერეთელი

მიწის საკითხი

როგორც ვიცით, რესპუბლიკის კანონის მიხედვით არავის არ აქვს უფლება ჰქონდეს შვიდ დესეტინაზე მეტი მიწა.

მიზანშესაბამია თუ არა ეს კანონი? შესაძლებელია თუ არა განვითარდეს მიწის მოქმედება ამ მუხრუჭში?

ვიცდები დავამტკიცო, რომ—შეუძლებელია.

ჩაჰყვრის თუ არა ფულის პატრონი კაპიტალს მამულის გაუმჯობესებაში? რასაკვირველია, არა.

და აი რატომ. კაპიტალი რომ ჩაჰყაროს,— დაეკარგება.

ყოველი მეურნეობა და მაშასადამე სამიწისმოქმედოც—მთლიან მოსახლეობას წარმოადგენს.

და, კაპიტალით გაუმჯობესებული მამული თუ დაიკუწება, დანაწილდება —კაპიტალი თავის როლს ველარ ასრულებს და ღირებულებას დაჰკარგავს.

დაკუწვა კი, აუცილებლად მოხდება, ვინაიდან ჩვენში მაიორატი არ არის მაშასადამე მამულს კაპიტალისტის მემკვიდრეები დაინაწილებენ.

და კაპიტალისტს მხოლოდ მაშინ არ შეეშინდება, ჩაჰყაროს კაპიტალი მამულში, თუ უფლება ექნება, თავისი გაუმჯობესებული მამული იმდენად გაიფართოოს, რომ შესაძლებელი შეიქნეს მამულის ორ-სამ მთლიან სამეურნეო მოსახლეობად ანუ ერთს დიდ საამხანაგო ეკონომიად გარდაქმნა.

იმავე დროს შვიდ დესეტინაზე შეუძლებელია დიდი, კაპიტალისტური ბევენახეობა, კაპიტალისტური მერძეეობა, კაპიტალისტური სახორმლეუულო მეურნეობა, მებაღეობა და სხ.

მაშ, ვიდრე შვიდ დესეტინიანი ნორმა დარჩება, კაპიტალი მიწას არ გააწაყოფიერებს, ე. ი. მიწის ნაყოფიერობა ანუ საწარმოო ძალა ვერ განვითარდება.

შვიდ დესეტინიანი ნორმა და საგლეხო მოსახლობა.

მაგრამ შვიდ დესეტინიანი ნორმა საგლეხო მოსახლობისთვისაც მიზანშეუსაბამოა.

როგორც ვიცით, ჩვენში მაიორატი არ არის და დღევანდელი შვიდ დესეტინიანი ნორმა ერთი თაობის შემდეგ ორ დესეტინიან ნორმად გარდიქმნება.

და ბრძოლა ამ დაკუწვასთან შეუძლებელი იქნება.

იქნება გვითხრან: ვინ უშლის ორი დესეტინის პატრონს შეიძინოს კიდევ ხუთი დესეტინაო?

აი რა უშლის. მამულის ყიდვა ყოველთვის კი არ შეიძლება. დ ა უ ყ ო ე ლ ს ახალ თაობას მიწის ყიდვა დასჭირდა, მთელი კაპიტალი ყიდვას დაჭირდება გაუმჯობესებისათვის კი აღარა დარჩება-რა.

სულ სხვაა, როცა მესაკუთრეს დიდი მამული აქვს: ამ მამულის დანაწილება ორ-სამ მოსახლობ დ მიწის მოქმედების გაუმჯობესებას ხელ არ შეუშლის.

იმავე დროს მამულის გაფართოება, ე. ი. ზედმეტი მიწის შეძენისათვის, სრვილიც აქვს და საჭირო თანხაც, ყიდის უფლებაც უნდა ჰქონდეს.

ეს მიტომ არის საჭირო, რომ სამეურნეო მოსახლობა მეტის მეად არ დაიკუწოს და მაშასადამე არ ჩამორჩეს.

ახალი ფეოდალები არ გაჩნდებიან.

შეიძლება ვინმე იფიქროს: მიწას ყიდვა გაყიდვა ახალ ფეოდალს წარმოშობსო.

მაგრამ ეს შიში—უსაფუძვლო.

ფეოდალიზმის ისტორია სულ სხვაგვარი იყო. ფეოდალი-მეომარი იყო ანუ მოხელე, რომელიც ღალა ღებულობდა. ყმების ნამუშავარს ივსებდა.

ფეოდალი მაშასადამე უმთავრესად სხვისი შრომითა და კაპიტალი აწარმოებდა მეურნეობას.

ამიტომ ფეოდალური მეურნეობა უმეტეს ნაწილად არ გაუმჯობებული მეურნეობა იყო.

ცხადია კი, რომ თანამედროვე პირობებში ბევრი ფეოდალი კაპიტალისტად გარდაიქმნა, ესე იგი კაპიტალისტური გაუმჯობესებული მეურნეობა შექმნა.

და, უეჭველია, საქართველოშიაც აღმოცენდენ გაუმჯობესებული, კაპიტალისტური სამიწისმოქმედო მოსახლობანი ძველ, ფეოდალურ მოსახლეობათა ნანგრევებზე.

ამგვარი მამული ბევრი იყო, როგორც დასავლეთს, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში.

მაგრამ რევოლიუციამ, როგორც გრიგალმა ხსენებული გაუმჯობესებული მოსახლობანი ფეოდალიზმის ნაშთებთან ერთად წარღვნით წაღეკა.

და დღეს საქართველოში გაუმჯობესებული სამიწისმოქმედო მოსახლობა თითქმის აღარსად არის.

მაშ საქართველოში მიწის მოქმედების განვითარება ახალ საფუძველზე უნდა აშენდეს და მაშასადამე აწ მიწის მოქმედების განვითარება სულ სხვა პირობებშია.

და დღეს მიწის შეძენას მხოლოდ შეძლებული გლეხი ანუ კაპიტალისტი შესძლებს, რომელიც კეთილშეძენილ საკუთრებას კრედიტსაც გააუმჯობესებს. მაშასადამე, ნორმა რომ მოისპობოდეს და ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვა გაუქმდებოდეს, მრავალი გაუმჯობესებული სამიწისმოქმედო მოსახლობა გაჩნდება და საქართველო აყვავდება.

იმავე დროს სტატისტიკა ამბობს: გაუმჯობესებული, კაპიტალისტური სამეურნეო მოსახლობა მეტ ქირას აძლევს მიწის მუშას, ვიდრე არ გაუმჯობესებული საკუთარი პატარა სამეურნეო მოსახლობა.

რა სჯობია? აუარებელი გაუმჯობესებული სამიწისმოქმედო მოსახლობა—კაპიტალისტური საბაღო, საბენისმოქმედო, სარძის მოქმედო, ხვადაგის საშენებელი მეურნეობა,—რომელიც მრავალს დაქირავებულ მუშას ასაზრდოებს, რესპუბლიკის სავაჭრო ბალანსს აქტიურად ხდის, ფინანსებს აუმჯობესებს და საქონელს აიაფებს, თუ პრავალი წვრილი, ღარიბი, ბეჩავი სამიწისმოქმედო მოსახლობა, რომელიც გლეხური წარმოების ფარგალს ვერა სცილდება და ისეთს არაფერ საქმნის, რასაც საზღვარ გარეთ თხეულობენ და სავაჭრო ბალანსის გამოკეთება შეუძლია?!

ცხადია, ხსნა პირველგვარ გაუმჯობესებაშია.

დასასრულ რესპუბლიკას სჭირდება საშუალო გლეხური მოსახლობა.

მიწის-მომქმედთა დიდი უმეტესობა —გლეხური მეურნეობის ფარგლიდან ვერ გამოვა.

და რესპუბლიკას, ერს სჭირდება მაგარი, შეძლებული გლეხობა.

ამგვარი მოთხოვნილებისთვის კი საჭიროა დაახლოებით ოცდაოცდა-ორმოცდაათ დესეტინამდის.

საშუალო სამიწისმოქმედო მოსახლეობა შედგება სახნავ-სათესის, სანა ძოვრო, საბაღე, საენახე და საბოსტნე მიწების, ტყისა და ეზოსაგან.

ყანაში სხვა და სხვა ჰარნახულის მორიგეობითი თესვაა საჭირო, საძოვრად სათიბები და ველური ბალახი, ტყისთვის—სასარე, საწკნელე, სამშენე და საფიცრე ნაწილები, საენახედ, საბაღეზედ, ეზოდ განსაკუთრებული თვისების მიწები.

მხოლოდ ამ პირობებში ექნება გლეხს კარგი საშუალო სამიწისმოქმედო მოსახლობა.

და მხოლოდ ამ გვარი გლეხების სიმრავლეშია ერის ძალა და სიმტკიცე.

ამგვარი სამიწისმოქმედო მოსახლობა კი შვიდ დესეტინის ფარგალში— შეუძლებელია.

დასასრულ წვრილი, პაწაწა, პარცელური სამიწისმოქმედო მოსახლობა ჩვენში ქალაქების ახლოსაც კი შეუძლებელია.

მებოსტნეს, რომელიც ქალაქის პირად ცხოვრობს, შეუძლია იცხოვროს მარტო საბოსტნო მეურნეობით; რძის მოქმედს შეუძლია იცხოვროს მარტოდ მარტო რძის მოქმედებითა და სხ.

იმავე დროს ჩვენს კანონმდებლებს დავიწყებიათ, რომ თვით გერმანიაში, სადაც ასე განვითარებულია მრეწველობა, პარცელის პატრონს პარცელის შემოსავალი არა ჰყოფნის და ოჯახის წევრები იძულებული არიან შეივსონ დეფიციტი ახლობელ ქარხანაში ან ახლობელსავე გაუმჯობესებულ სამიწისმოქმედო მოსახლობაში მუშაობით.

მაგრამ, თუ კი ჩვენში გაუმჯობესებული მიწისმოქმედება არ იქნება, წვრილ მოსახლობათა პატრონებმა დეფიციტი, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ამ გვარ მოსახლობას, საიდან ღა უნდა შეივსონ?.

ცხადია, ამ პირობებში საქართველოს უმეტესობა ხელოვნურად შექმნილს ქრონიკული შიმშილის მსხვერპლად შეიქნება. აქედან კი შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს;

თუ გვინდა, რომ საქართველოში საშუალო და კაპიტალისტური სამიწისმოქმედო მეურნეობა განვითარდეს და პარცელური მიწის მოქმედებას მწარმოებელთ საზრდოობის დეფიციტი თავისუ შრომის გაჭირვებით დაფარონ, შვიდი დესეტინის ნორმა უნდა მოისპოს და ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვა გაუქმდეს.

კოოპერაციები

შეიძლება სთქვან: შვიდ დესეტინიანი ნორმა ხელს შეუწყობს სამიწისმოქმედო კოოპერაციების წარმოშობასო. სამიწისმოქმედო კოოპერაციები კი თავისი მხრით—მეურნეობის გაუმჯობესებასო.

მარ თალია, სამიწმოქმედო კოოპერაციები დიდ როლს ითამაშებენ.

საფრანგეთში, მაგალითად, 1910 წ. სულ 400 მწარმოებელი კოოპერატივი იყო (სამიწისმოქმედო და სამრეწველო ე.)

გერმანიის წვრილი მეენახეთა კოოპერატივებმა სახელი გაითქვეს.

კიდევ ჭეშრო სახელ-განთქმული არიან დანიის სარძისმოქმედო კოოპერატივები.

ინგლისის ტრედიუნიონებს შესანიშნავი სამრეწველო კოოპერატივები აქვსთ.

კოოპერატივები თანდათან პოულობენ ნიადაგს ევროპის სხვა ქვეყნებშიაც.

ცხადია მაშასადამე, რომ კოოპერატივები ჩვენშიაც გაჩნდებიან და განვითარდებიან.

და უეჭველია: კოოპერატივების განვითარებას ხელი უნდა მოუმართოთ, ვინაიდან კოოპერატიული წარმოება, როგორც განსაზოგადოებრივებული, შრომის ნაყოფიერობას ზრდის.

მაგრამ ამაში ფიქრი, ვითომ კოოპერატივები მოსპობენ დაქირავებულ შრომას, ვინაიდან კოოპერატივის გამგეობის წევრები, აგენტები, ბუხჰალტრები, მეკანტორენი, გადამწერლები, გადამზიდველნი და სხ.—დაქირავებული არიან.

იმავე დროს კოოპერატივს არ შეუძლია ყველა თავისი წევრი იძულებით ამწყვიაროს და, მაშასადამე, როცა მუშა დასჭირდება, იმგვარადვე უნდა დაიქირაოს, როგორც კერძო კაპიტალისტი ქირაობს. თვითეიერ ამ პირობისა კოოპერატივის გაკოტრება—აუცილებელია.

დასასრულ კოოპერატივებს არ შეუძლიათ მოსპონ სიმდიდრე სიღარიბე.

მაგალითად, ვინც მეტ რძეს მიიტანს კოოპერატივში, მეტი მოგებაც მიეცემა.

და ნურავინ იფიქრებს, რომ, თუ კი შვიდ დესეტინაზე მეტი არავის ექნება, თვითეულ რძის მოქმედს იმდენი-ძროხა ეყოლება, რამდენიც სხვას.

პირიქით, ზოგს სულაც არ ეყოლება ძროხა და თავის საძოვარს ან სათიბს იჯარით მისცემს იმას, ვისაც ბევრი ძროხა ეყოლება.

და, ვისაც უნარი არ ექნება, რომ თვითონ გააშენოს გაუმჯობესებული ბაღ-ვენახი, უეჭველია თავის საბაღესა და საენახე მამულებს იჯარით გაცემს.

ცხადია კი, რომ ეს არ არის შესაძლებელი დღეს, როდესაც გაუმჯობესებულ მეურნეობას არავინ ეწევა, არამედ მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენში ინტენსივური მეურნეობა იქნება.

მეორე მხრით, საიჯარო ფულის გადახდა ხელს შეუშლის მიწის მოქმედების გაუმჯობესებას, ვინაიდან იჯარა, რომელიც მიწის მოქმედმა უნდა აძლიოს მესაკუთრეს, ჭირნახულის ფასს გააძვირებს, ე. ი. ჭირნახულს ბაზარს დაუკარგავს.

სხვათა შორის ამიტომაც უნდა იქნეს უარყოფილი შვიდი დესეტინის ნორმა.

მაგრამ კოოპერატივები—სახალხო მიწის მოქმედების განვითარების ჯანასკნელი სიტყვაა.

(შემდეგი იქნება)

სტამბა სამხედრო სასწავლებლისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა 3 №